

# **„მთავრობის გეგმებსა და პროგრამებს უზინმაჩინის ქუდი ახურავს“**

გაზეთი “ყველა სიახლე” – 2-8 ნოემბერი, № 43, 2011

რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა საზოგადოებას 2011-2015 წლების სტრატეგიული განვითარების ათაუნქენიანი გეგმა გააცნო. ახლადგამომცხვარ გეგმას კრიკიტიკის ქარიშხალი დაატყვა თავს, თუმცა მთავრობა მასზე მაინც დიდ იმედებს ამყარებს. გვესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო აბაშვა:

- ბატონო ლადო, რას გვეტყოდით მთავრობის ახალ, ათაუნქენიან გეგმაზე?
- იქნებ ჩვენმა მთავრობამ უზინმაჩინის ქუდი მოხადოს თავის გეგმებს, პროგრამებს და ეს დოკუმენტიც, რომელშიც არა მარტო მოწოდებები და სურვილები, არამედ დასაბუთებაც იქნება, გვაჩვენოს. შეიძლება კიდევ მოგუწონოთ, ნამდვილად არ დავუკარგავთ დადებით მხარეს, თუკი ასეთი რამ იქნება...
- რა შეაშია აქ უზინმაჩინის ქუდი?

– საქმე ის არის, რომ ამ გეგმის წერილობით ვერსია მართალია ინტერნეტში ვიპოვე, თუმცა რა უდევს საფუძვლად მას ეს ისევ უზინარია. სამწუხაროდ, ამ დონის დოკუმენტი დეტალურად ვერ ასახავს ამ გეგმის არსეს. ისე კი, უნდა გითხრათ, რომ „გარდების რევოლუციის“ შემდეგ გახმაურებული ყველა გეგმა და პროგრამა ვირტუალური ან თითქმის ვირტუალური იყო. გავიხსენებ 50-დღიან გეგმას, რომელზეც ლადო გურგენიძის პრემიერ-მინისტრობის დროს ამდენს ლაპარაკობდნენ. კურიოზი ის გახლდათ, რომ 50-დღიანი გეგმა 153 დღეზე იყო გაწერილი. ეთქვათ 150-დღიანი გეგმა და იმ სამ დღეს როგორმე ვაპატიებდით,

მაგრამ როცა 50-დღიანი გეგმა 153 დღეზეა გათვლილი, ეს უკვე მეტისმეტია. ამის შემდეგ გაპიარდა 50-თვიანი პროგრამა. მთავრობა იძახდა, რომ ამ პროგრამით მუშაობდა, მაგრამ ის ბუნებაში არ არსებობდა. 2008 წელი იყო, ჯერ კიდევ პარლამენტის დეპუტატი გახლდით, შევეცალე ჩემი უფლებამოსილება გამომეუჯებინა, რომ ეს დოკუმენტი მიმეღო, მაგრამ ვერანაირი გზითა და საშუალებით ვერ მოვიპოვე. ეს 50-თვიანი პროგრამა უჩინმაჩინის ქუდის ქვეშ იყო დამალული. ნამდვილად არ მინდა ათპუნქტიან გეგმის სურვლიების დასაბუთებას ასეთი ქუდი ეხუროს. ყოველივე ამის შემდეგ ჩნდება მარტივი კითხვა: თუ წინა პროგრამები არ არსებობდა, რატომ დავიჯერო, რომ ათპუნქტიანი გეგმის დასაბუთება არსებობს?

– გამოდის, რომ ეს გეგმა კი არა, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია?

– მე გამოქვეყნებული გეგმიდან ერთ მაგალითს მოვიყვან. გეგმაში წერია, რომ 2011-2015 წლებში მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 60-90 პროცენტით გაიზრდება. თუ მოსახლეობის რიცხოვნობას უცვლელად ავიდებთ, მაშინ გამოდის, რომ საქართველოს ეკონომიკა ამ ხეთი წლის განმავლობაში წლიურად საშუალოდ 10-14 პროცენტით უნდა იზრდებოდეს, რისი დასაბუთებაც “ათპუნქტიან გეგმაში” არ არის მოცემული. თანაც 2011 წელს საქართველოს პრეზიდენტის ოპტიმისტური განცხადებით მხოლოდ 7 პროცენტიანი ზრდაა მოსალოდნელი, რაც იმას ნიშნავს, რომ დარჩენილ ოთხ წელიწადში ეკონომიკის 14 პროცენტიანი ზრდაც კი არ იქნება საკმარისი მთავრობის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად. ერთად-ერთი გზა, რის ხრჯზეც შეიძლება მთავრობის მიერ დასახული მიჯნის მიღწევა, ეს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნების შემცირებაა...

გამოდის, რომ წინასაარჩევნო პერიოდის გამო ვითომდა სამთავრობო გეგმის არსებობა გაახმაურეს. თანაც, როცა 2011-2015 წლების გეგმაზეა ლაპარაკი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალ წლამდე დაგვრჩა მხოლოდ ორი თვე და რა უნდა მოასწრონ დარჩენილ დროში, ჩემთვის ესეც აბსოლუტურად გაუგებარია. სამწუხაროა, მაგრამ ეს არ არის ახალი სტილი მუშაობისა, ეს არის ძველი სტილის გაგრძელება, რომელიც ტრადიციად ჩამოყალიბდა „ვარდების

„რევოლუციის“ შემდეგ. მთავრობა ლაპარაკობს ათპუნქტიან გეგმაზე, ანუ მიზანშეწონილად მიიჩნევს დაგეგმვას, როგორც ასეთს, მაშინ, როდესაც 2004 წელს გააუქმეს კანონი ინდიკატიური დაგეგმვის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 1990-იან წლებში მიხეილ ჯიბუტისა და ჩემი ინიციატივით იქნა მიღებული. ასეთი გეგმა არსებობს როგორც ეკროპის, ასევე აზის არაერთ წამყვან სახელმწიფოებში. კურძოდ, ინდიკატიური დაგეგმვა გამოიყენება საფრანგეთში, იაპონიაში. ეს არ არის კომუნისტური პერიოდის დაგეგმვა, ეს არის მთავრობის გეგმა, საით მიჰყავს ქვეყანა, რას აპირებს, რა პროგნოზები აქვს. ასეთი კანონი, როგორც გითხარით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რატომდაც გააუქმეს. ახლა კი, ისევ ხუთწლიან გეგმაზე ლაპარაკობენ. ჯერ ერთი, ჩნდება კითხვა – რატომ ხუთწლიანი? 2013 წელს პარლამენტმა მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრად რომ არ აირჩიოს, მაშინ ამ გეგმას რა ვუყოთ? აქ ძალიან ბევრი კურიოზი იკვეთება: ახალი კონსტიტუციით რომ გადავითვალოთ, ეს გეგმა უნდა იყოს 4-წლიანი, მეორეს მხრივ, დღევანდელ მთავრობას ვადა 2013 წლამდე ეწურება. რომ ეთქვათ, რომ ეს არის სამწლიანი გეგმა და 2011 წლის დასაწყისში მიეღოთ, ყველაფერი ლოგიკას დაექვემდებარებოდა, ახლა კი ბევრ გაუგებრობას ვაწყდებით. თუმცა, ალბათ თქვენც შეამჩნიეთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები 2015 წელს ხშირად ახსენებენ, ეტყობა უნდათ შეგვაჩვიონ აზრს, რომ მაშინაც ქვეყნის სათავეში იქნებიან.

– მთავრობის გააქტიურება პოლიტიურ ასპარეზზე სერიოზული კონკურენტის გამოჩენამ ხომ არ გამოიწვია? ვგულისხმობ ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

– რა თქმა უნდა. ფაქტია, რომ მთავრობა აშკარად გააქტიურდა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ. ალაპარაკდნენ სხვადასხვა პროექტებზე. გაახმაურეს კიდევ ერთი ახალი ინიციატივა, რომ 45-დან 60 წლამდე ასაკის ხალხი ბიზნესმა სამუშაოდ უნდა აიყვანოს, და თუ ასე მოხდება, ბიზნესს საშემოსავლო გადასახადისაგან გააათავისუფლებენ. ეს უაზრობაა: თუ პრეზიდენტი განიცდის, რომ ეს ლირსეული და წესიერი ხალხი იყო, კარგია, მაგრამ იბადება კითხვა, მაშინ რატომ გაუშვეს სამსახურებიდან? ბიზნესს ხალხი თუ სჭირდება, თვითონაც კარგად იცის, რა ასაკის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე პიროვნება აიყვანოს, ამას არ

სჭირდება ასაკობრივი დაყოფა. თვითონ ამ ცნების გაჩენა ნიშნავს, რომ საქართველო გამორჩეულია იმ სოციალური დისკრიმინაციის იმ ფორმით, რომელსაც ასაკობრივი დისკრიმინაცია ჰქვია. ყველაზე “ხელსაყრელი” ეს პროექტი ქალბატონებისთვისაა, რადგან ისინი პენიაზე 60 წლის ასაკში გადიან, მაგრამ რა ქნან იმ მამაკაცებმა, რომლებიც 60-დან 65 წლამდე არიან? სხვათა შორის, აქ კიდევ ერთი უარყოფითი მხარე იმაღება: თითოეულ ფირმას შეუძლია გათვალის რამდენს იხდის საშემოსავლო გადასახადს და რამდენი კაცი უნდა აიყვანოს, რომ გადასახადი აღარ გადაიხადოს. ეს კი არც ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს და ბიუჯეტიც დაკარგავს შემოსავალს. მსგავსი იდეების გახმაურება ნიშნავს, რომ მთავრობას არანაირი ეკონომიკური ხედვა არა აქვს. ეს არის ეკონომიკური აზროვნების კრიზისი, რომელიც ამ ხელისუფლებას მოსვლის დღიდანვე თან სდევს.

– თუმცა, ხელისუფლება უკვე აღიარებს, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტი ბაყაყი და სირაქლემა კი არა, სიმინდი, ხორბალი და ღვინოა.

– ვინ თქვა, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტი ბაყაყი და სირაქლემაა? – მათმა მინისტრმა, რომელსაც თავგამოდებით იცავდნენ და დღესაც იცავენ, სწორედ მან დაიწყო ბაყაყებზე და ნიანგებზე საუბარი. სიმინდის ექსპორტზეც ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ეს არის დარიბი ქვეყნის პოლიტიკა. შეხედონ ამერიკის ეკონომიკას: იქ არის შტატები, სადაც ტრადიციულად აწარმოებენ სიმინდსა და გოგრას. ეს არის ყველაზე დარიბი, სუსტად განვითარებული შტატები. როგორ შეიძლება სიმინდზე აქცენტი გააკეთო, როგორც საექსპორტო პროდუქციაზე?

– ბატონო ლადო, ალბათ მსგავსი შეცდომების ბრალია, რომ საქართველოში ცხოვრება თანდათან უფრო ძვირდება და ფასებიც კატასტროფულად მატულობს.

– მე მივეკუთნები საშუალო ფენას, რომელიც საქართველოში საკმაოდ მცირეა, მაგრამ მაინც არის. აშკარად ვგრძნობ, რომ ჩემი სასურსათო კალათა ძალიან შემსუბუქდა და თანაც გაძვირდა. წარმომიდგენია რამდენად მძიმეა დაბალშემოსავლიანი ოჯახების მდგომარეობა. სამწუხაროდ, მთავრობას რაიმე რეალური პროგრამა ამ თვალსაზრისით არ აქვს. რეალური სურათი კი ასეთია: ჩვენი მოსახლეობის 57 პროცენტი ცხოვრობს სოფლად, ხოლო სოფელი მთლიან

შიდა პროცესტში ქმნის მხოლოდ 8 პროცენტს, ანუ მოსახლეობის 57 პროცენტი ქმნის ჩვენი ეკონომიკის მხოლოდ 8 პროცენტს. ეს კატასტროფაა. იცით რა ამძიმებს კიდევ ჩვენს სასურსათო ბაზარს? – ტურიზმი. ტურისტი რომ შემოდის, ეს ნიშნავს, რომ დამატებითი მჭამელი შემოვიდა. ჩვენი სოფლის მეურნეობა ამ ხალხს ვერ წვდება, ის კაცი კი ფულის გადამხდელია და დღეში სამჯერ უნდა იკვებოს. რა უნდა გააკეთოს ქვეყანამ? – ისევ იმპორტს უნდა მიმართოს. მსოფლიო ბაზარზე კი სურსათი თანდათან უფრო ძვირდება. საერთოდ შემოდგომაზე ჭირნახული ახალი აღებულია და ფასებიც შედარებით დაბალია, ზამთარში ეს პრობლემა გამწვავდება, გაზაფხულზე კი ფასების მატებას უფრო მეტად ვიგრძნობთ. მით უმეტეს, არჩევნები მოდის, ხელისუფლება ეცდება ამომრჩევლის გული მოიგოს, ბაზარზე დამატებითი ფულის მასა გამოვა, რაც საბოლოო ჯამში ინფლაციასა და ფასების ზრდას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

## ხათუნა ჩიგოგიძე